



ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე
 Bulletin de l'Université de Tiflis

V

Handwritten signature

ლ. მ. მელიქსეთ-ბაზი

არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთუჩის ხეობა-
 ში 1923 წელს.

K 22. 996
 3



ტფილისი
 1925.



Handwritten text in Georgian script at the top of the page, including the name 'საბჭოს მდივანი' (Secretary of the Council).

დაიბეჭდა პროფესორთა საბჭოს განკარგულებით.

საბჭოს მდივანი პროფ. ი. ქუთათელაძე.

Handwritten initials or a signature in red ink on the right side of the page.

29-145 გ

24.12.1954

საქართველოს მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წელს¹

ლეონ მელიქსეთ-ბეგისა.

1923 წლის 7—12 თებერვალს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დავალებით, იმავე უნივერსიტეტთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებულ ვარლამ თოფურიასთან ერთად, მომიხდა მოგზაურობა კავთურის ხეობაში. პირდაპირი მიზანი ამ მოგზაურობისა იყო გადმოტანა ქვათახევის მონასტრიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იმავე მონასტრის განსვენებული წინამძღვრის ტარასი არქიმანდრიტისა (მესხიშვილის) და სხვათაგან მოპოვებული წიგნთსაცავისა, რომელიც ურბნელ ქრისტეფორე ეპისკოპოსის მიერ შემოწირულ იქმნა უნივერსიტეტისადმი.


ეს პირველი შემთხვევა არ იყო, რომ მე მიხდებოდა მოგზაურობა შიდა ქართლის ამ ფრიად საინტერესო მხარეში. პირველად იქ გახლდით ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1911 წელს, ქვათახევის მონასტრის იმ დროინდელ წინამძღვარ, აწ განსვენებულ ანტონი არქიმანდრიტთან ერთად (გიორგაძე, შემდეგში გორის ეპისკოპოზი და უკანასკნელად ქუთათელი მიტროპოლიტი). პირველი მოგზაურობის დროსვე დამინტერესა დიდებულმა ბეთლემის მონასტერმა ანუ ე. წ. „მაღალანთ ეკლესიამ“ ს. წინარების მახლობლად, რომლის შესახებაც 1915 წლის 4 დეკემბერს წავიკითხე წინასწარი ხასიათის მოხსენება მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში ამ სათაურით „О древнем Цинарехском монастыре в Горийском уезде“². მეორედ კავთურის ხეობაში და ახლო-მახლო ადგილებში მომიხდა ყოფნა 1916 წელს მარტოდ და უკვე სხვა მიზნით—კავკასიის ყოფილ სააგარაკო საზოგადოების დავალებით, და ამ მეორე მოგზაურობას მოჰყვა საგანგებო წერილი ამ სათაურით: Поездка по Горийскому уезду в районе Кавтийского и Рехульского ущелий и Ахалкалакской равнины³. ამ შესახებ მოგზაურობის დროს განსაკუთრებით შევჩერ-

1) წაკითხულ იქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1924 წ. 29 თებერვალს.

2) „Известия Кавказского Отделения Московского Археологического О-ва“, в. V, Тфл. 1919, стр. 50 (протокол № 77).

3) „Целебный Кавказ“, журнал Кавказского О-ва содействия развитию лечебных мест, 1916 г. № 6, стр. 20—27, და ცალკეც.

ტფილისის უნივერსიტეტის მთავრე, V.



დი ეპიგრაფიკულ მასალებზე, და დღევანდელი ჩემი მოხსენების საგანს წარმოადგენს უმთავრესად ეს მხარე ჩემი მუშაობისა ხსენებულ ხეობაში.

მოგზაურობის მარშრუტი იყო ასე: კავთის-ხევის ბაქანი — ს. კავთისხევი — თვალადი — ს. წინარები — ბეთლემის მონასტერი ანუ „მაღალანთ ეკლესია“ — ქვათახევის მონასტერი — ს. წინარები — მონასტერი „ლაფრა“ — თელათ-გორა — ძეგვი — მცხეთა — ტფილისი.

არსებული ლიტერატურა ყველა ამ ადგილების შესახებ ამოიწურება პ. იოსელიანის ცნობილი მონოგრაფიით ამ სათაურით: „Жизнь великого моурава князя Георгия Саакадзе, родоначальника князей Тархан-Моуравовых, с приложением описания Эртацминдского храма и Кватахевского монастыря“ (Тфл. 1848, стр. 89—160), და აგრეთვე ზოგიერთი შენიშვნებით აკად. მ. ბროსეს ნაშრომში „Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie“ (second rapport, 2 livraison, SPB. 1850, p.p. 105—107, sixième rapport, 3 livraison, SPB. 1851, p. 37), რომლებიც საკმაოდ დაძველებულნი არიან ჩემი დროისათვის და ვერც ჰფარავენ სავსებით ჩემ მიერ შეგროვილ მასალებს.

ამიტომ მე ჩემ თავს ნებას ვაძლევ კვლავ შევეხო კავთურის ხეობის სიძველეთ, მხოლოდ გარკვეული ინტერესით.

წ ი ნ ა რ ე ხ ი.

ს. წინარებში ძველად, როგორც ეტყობა, რამოდენიმე ეკლესია ყოფილა. მათ შორის ერთი ახლად არის აშენებული; ეს გახლავს ღვთისმშობლის ეკლესია. მეორე კი ნანგრევების სახით არის მოღწეული ჩვენამდე; ეს გახლავს წმ. სტეფანეს ეკლესია. ორივე ბაზილიკალური რიგის პატარა ეკლესიებია.

პირველს, ე. ი. ღვთისმშობლის ეკლესიას, რომელსაც მ. ბროსე უწოდებს *une pauvre église*¹, დატანებული აქვს ორი წარწერა მთავრული ასოებით, რომელთაგანაც ერთი, ყვითელ ქვაზე, აღმოსავლეთის კედელში მაღლა, სარკმლის თავზე, ხოლო მეორე, მწვანე ქვაზე, სამხრეთის კედელში, აგრეთვე მაღლა, კარგების თავზე. მათ შორის მეორე სრულიად უცნობია ლიტერატურაში, პირველი კი ერთად ერთველ არის გამოცემული მ. ბროსეს მიერ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (მხედრულად)².

აღმოსავლეთის კედლის წარწერა იკითხებასე (4 სტრიქონად, მთავრულად)³.

1. $\frac{IC}{|NI|} \mid \frac{XC}{K|A|}$ სწლითა: დ'ასთა: და: მწნათა: წ'ისა: სიონისა: დ'ის-

შსობლისთა: დირს: ვაქმენ: მე:

2. ც: ტოვლ: ეკ'ნა: ბნნა: ფენდისშვილი: ადშენდ: წ'ისა: აშის: კკ
 ღსსა: სდცვდ: და: სს

3. დადებლ: მ'ფეთ: მ'ფისა: სჟმონისთჟს: და: სწლსნებლ: ც: სწლი-
 სა: წწათს: ქკს: სკა:

¹) M. Brosset, Voyage archéologique, 2 livraison, SPB. 1850. p. 107.

²) Ibid.

³) ზუსტური ასაების უქონლობის გამო მომყავს მხედრულად.

4. დსბ... კოზ

ე. ი.

„IC XC NIKA. სახელითაჲ ღმრთისაჲთაჲ და მეოხებითა წმიდისა სიონისა ღმრთისმშობლისაჲთაჲ, ღირს ვიქმენ მე | ცოდვილი ტფილელ ეპისკოპოზი ბარნაბა ფავნელისშვილი აღშენებად წმიდისაჲ ამის ეკლესიისა, სალოცველად და სა|ღიდებულად მეფეთ მეფისა სკიმონისა-თვს და სალხინებულად ცოდვილისა სულისა ჩემისა-თვს. ქორონიკონს სოე | დასაბამით-გან კოზ (sic)“.

Б. 1. სახელითა ღვთისათა. სიონის. ღვთის-მშობლისათა. 2. ტფილელ. ფავნელის-შვილი. წმიდისა. სალოცავად. 3 სკიმონის-თვს. ჩემის-თვს.

ამ წარწერაში საინტერესოა მე-2 და 3 სტრიქონში „ც“, რომელიც შემოკლება სიტყვისა „ცოდვილი“, „ცოდვილისა“ და არა წინა სიტყვისთან დაკავშირებული ნაწილაკი მსგავსად „მცა“, „ცა“-სი („მე ცოდვილი“ და არა „მეც“; „სალხინებულად ცოდვილისა სულისა“ და არა „სალხინებულადც სული-სა“). გარდა ამისა, საინტერესოა შემოკლება სიტყვისა „ეპისკოპოზი“ — „ეკპი“-ს სახით.

ქორონიკონი სოე 275 გვაძლევს 1587 წელს, „დასაბამითგან“ წელი კოზ კი=7077 [=7077—5500]=1577 წელს, ე. ი. ორივე ერთმანეთს არ უდგება, რომლის გამოც საფიქრებელია, რომ ან ქორონიკონად უნდა იკითხებოდეს ს ა ე =265, რაც გვაძლევს 1577 წელს და ამასთანავე ერთად „დასაბამითგან“ წელი კოზ=1577, ანუ წელი „დასაბამითგან უნდა იყოს კპზ=7087 [=7087—5500]=1578 წელი და ამასთანავე ერთად ქორონიკონი სოე=275, ე. ი. 1587 წელი¹. ამნაირად, წარწერა შეიძლება მიეკუთვნოს მასში მოხსენებული სვიმეონ I-ის მეფობას (1558—1600), 1587 ან 1577 წელს. რაც შეეხება ტფილელ ბარნაბას, ესეც ცნობილია აღნიშნულ დროს სხვადასხვა სიგელ-გუჯრებიდან. მაგრამ მე ვერ დავეთანხმდები ვერც პ. იოსელიანს², ვერც დეკ. მარკოზ ტყემალაძეს³ ამ ბარნაბის მღვდელმთავრობის დროის განსაზღვრაში შემდეგი მოსაზრების ძალით. მაგალითად, პ. იოსელიანს ერთსა და იმავე თხზულებაში ეს ბარნაბა მოხსენებული ჰყავს ორჯელ: ერთხელ ტფილელ მღვდელმთავართა სიაში, მეორედ კი ტფილისის სიონის ტაძარში დაკრძალულ პირთა სიაში, ე. ი. ერთხელ ცოცხლად, ხოლო მეორედ მკვდრად. მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, როგორ მოხდა რომ პ. იოსელიანით ესევე ბარნაბა ცოცხლად ჩანს 1592 წელს, როდესაც განსვენებულთა სიაში აღნიშნავს, რომ ის გარდაიცვალაო 1589 წელს. დეკ. მ. ტყემალაძეს ნაჩვენები აქვს ბარნაბა 1565—1570 წლების ქვეშე. მაგრამ, არც ეს შეფიქრება სინამდვილეს. ჩემი ანგარიშით, ბარნაბას მღვდელმთავრობა შეიძლება განსაზღვრულ იქმნეს სულ ცოტა 27 წლით მიანც: terminus a quo 1565 წლითა და terminus ad quem

¹) დაზიანებულ წარწერაში, სადაც მთავრული ასოები ოდნავად ირჩევა, ადვილად შესაძლებელია რომ „ონი“ მიღებულ იქმნეს „ჰიე“-სა და „პარ“-ის მაგიერ და აგრეთვე უკუღმართ „ჰიე“-ს მაგიერ „ონი“ და „პარი“ ანუ „პარ“-ის მაგიერ „ონი“ და „ჰიე“.

²) П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тфл. 1866, стр. 166, 178.

³) Прот. М. Ткемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный собор. Тфл. 1904, стр. 144.

1592 წლით. და მართლაც, ბარნაბა ფავნელისშვილი იხსენიება „სამეუფო[ა]სა ქალაქის მთავარეპისკოპოს“—ად ნიქოზის ერთ-ერთ სიგელში 1565 წლის ქვეშე¹, რომელიც მისი „კელითა“—ა დაწერილი, და ცოცხალი ჩანს 1592 წელს, ვინაიდან ამ წელს, ტფილისის სიონის ტაძრის იმ დროის სიგლის მიხედვით, უყიდნია ამ ტაძრისთვის ვენახი და ყმანი სოფელს ღუბისს². ხოლო 1570 წელს იერუსალიმში ყოფილა³.

როგორც ზემოთ მოხსენებულნი აკად. მ. ბროსე, პ. იოსელიანი, მ. ტყემალაძე და სხვანი ფიქრობენ, წინარების ღვთისმშობლის ეკლესია ერთ დროს ტფილელ მღვდელმთავართა (მთავარეპისკოპოზთა, გინა მიტროპოლიტთა) მეტოქედ ყოფილა. მართლაც, გარდა აღნიშნული ტფილელის ბარნაბა ფავნელის-შვილისა, ცნობილია აგრეთვე სხვა ბარნაბაც სვიმეონ მე-II-ის დროს (1619—1629), რომელსაც წინარებში უცხოვრია⁴. „როდესაც, მაჰმადიანების ძალდატანებით,—ამბობს პ. იოსელიანი,—მეწყდა ღვთისმსახურება სიონის საკათედრო ტაძარში, კვირიაკე ეპისკოპოზის მოადგილე ბარნაბა მიტროპოლიტი იძულებული გახდა ეცხოვრა ქართლის სოფელ წინარებში და იქიდან მოევლო თავისი სამწყსოსთვის. განდევნილი მღვდელმთავრის ყოფნა წინარებს გაგრძელდა მაჰმადიანის სვიმეონ მეფის სიკვდილამდე“⁵.

ამგვარად, თითქოს მტკიცდება, რომ წინარების ღვთისმშობლის ეკლესია მართლაც ტფილელთა მეტოქედ უნდა ყოფილიყოს, და ალბათ ამითაც აიხსნება, რომ ის, ტფილელთა საყდრის მსგავსად, 1587|1577 წელს მოხდენილი განახლების შემდგომ სიონის ღვთისმშობლისავე სახელზე იქნა ნაკურთხი. ამით, რასაკვირველია, უნდა აიხსნებოდეს, სხვათა შორის, აკად. მ. ბროსეს განცხადებაც, ვითომდა წინარები ტფილელთა საზაფხულო სადგომი ყოფილიყოს: „On rapporte que Tsinarekh fut longtemps la résidence d'été des métropolitains de Tiflis“⁶.

მეორე წარწერა, როგორც უკვე აღინიშნა, სამხრეთის კედელზე, კარების ზევით, პირველთან შედარებით დაზიანებულია და ძნელად ირჩევა. ბ. ვარლამ თოფურისას დახმარებით, ეს წარწერა წაკითხულ იქმნა შემდეგი სახით (ნ სტრიქონად, მთავრულად)⁷:

1. ქ. სხლითა: ღისთა: მე: თე||ნ: ისე: დავსტე;
2. სეღარი: ესე: და: ადუშ|||: თმბდ:
3. რჯღ: სამკრჱები: სხ|| დავხატე:

¹) ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, ტფილისი 1913, გვ. 6—9.

²) Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамоты), Тфл. 1881, стр. 55; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, ტფილისი 1897, გვ. 427.

³) თ. ჟორდანი, ორ. ს. II, ibid; М. Ткемаладзе, ц. с., ib.

⁴) П. Иоселиани, ц. с., стр. 180; М. Ткемаладзе, стр. 145.

⁵) П. Иоселиани, Исторический взгляд на состояние Грузии под властью узрей-магометан, Тфл. 1849, стр. 35.

⁶) M. Brosset, op. c., p. 107—108.

⁷) იხ. შენ. მე-3-ე 130 გვ. ტექსტში შავი ასოებით ნ-ჯერ აღნიშნულია წარწერაში ნახ-მარი მხედრულა „ა“



თვით მონასტერი შესდგება რამოდენიმე, თლილის ქვით აღშენებული, ნაწილისაგან, რომლებსაც უფლის საკმაოდ მკვიდრი და მაღალი გალავანი-სულ ყველაზე საინტერესოა ერთნავეიანი ბაზილიკალური რიგის უგუმბათო ეკლესია ეგუტერიტურთ სამხრეთის მხრიდან. შიგნით ეკლესია მთლად მოხატული ყოფილა, თუმცა ფრესკებს, სამწუხაროდ, საკმაოდ დაზიანებულად მოუღწევიათ ჩვენამდე: ბუნების მოვლენათა წყალობით დაწყებულ განადგურებას ხელს უწყობს ადამიანიც, რომელიც თავის უგუნორობით სპობს იმას, რასაც თვით სტიქიონი ვერ მოპრევია. აქვე საინტერესოა ქვითკირით აგებული კანკელი. აგრეთვე მთლად დაფარული მხატვრობით. ხოლო გარედან ეკლესია შემკულია საუცხოო ჩუქურთმებით¹. ეკლესიის სამხრეთით ორსართულიანი კოშკია, რომლის ქვემო ნაწილში, როგორც ეტყობა, სამწირველო ყოფილა; ესეც მოხატულია.

ტაძრის აღმოსავლურ კედელს და აგრეთვე მის და კოშკის მხატვრობას მრავალი წარწერები აქვსთ ქართულად და ბერძნულად, რომელთაგანაც ზოგიერთი აღნიშნულია პ. იოსელიანისა² და მ. ბროსეს³ ზემოთ დასახელებულ ნაშრომებშიაც. ლიტერატურაში უცნობი წარწერები ჩემ მიერ წაკითხულ იქმნა, ხოლო ცნობილი შემოწმებულ და შესწორებულ იქმნენ.

ჯერ შევეხები წარწერებს ქვაზე (ე. ი. ეკლესიის აღმოსავლურ კედელზე). ეს წარწერები მხედრულნი არიან.

1. სარკმლის თავზე ორ ლოდზე (გამოუცემელი).

1. ნიკოლოზ
 2. მალაქე ქა
 3. დავი ქს ტნიე
- ე. ი.

„ნიკოლოზ| მალაქე ქა|დავი. ქორონიკონს ტნიე (=ჰ50+15=ჰ65|+1312|=1677)“.


ამ წარწერაში საინტერესოა ფორმა „ნიკოლოზ“ ჩვეულებრივი „ნიკოლოზ“-ის მაგიერ.

2. მის ქვევით (გამოუცემელი).

1. ქ მე მონამან ლთისამზ ნიკოლოზ ქადაგან მა

¹) ამ ჩუქურთმების რამოდენიმე მაგალითი წარმოდგენილია პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში მოთავსებულ ორ სურათში. 292—293 და 298—299 გვერდებ შორის, რომელთაგანაც პირველს აწერია: „წინარეხი. ეგრე წოდებული მაღალანთ ეკლესიის დასავლეთის კედლის ზეითი ნაწილი ჩუქურთმიან საცერეთი და კონმიდითა“; ხოლო მეორეს: „წინარეხი. ეგრე წოდებული მაღალანთ ეკლესია, სამხრეთის მხრით გადაღებული, საუცხოო ჩუქურთმებით შემკული“. სამწუხაროდ, სურათების მინაწერებში ჩვენები მხარეები არეულია ერთიმეორეში: პირველში წარმოდგენილია დასავლეთის მხარე კი არა, არამედ სამხრეთისა, ხოლო მეორეში პირიქით სამხრეთისა კი არა, არამედ დასავლეთისა. ამავე ეკლესიის სხვა სურათი, გადაღებული [განსვენებულის ლუარსაბ ბოცაძის მიერ] სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, გამოქვეყნებული იყო „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს № 69 (სურათებიანი დამატება).

²) П. Иоселиани, Жизнь великого моурава etc., 118—121.
³) M. Brosset, op. cit., 3 livrais., p. 37.



2. ლალაძემ ვიწყე შენებად მეორედ წისა ამის
3. ტაძრის ყოვლად წდისა დიდებულისა დედის
4. ჩემის ელენეს შესანდობლად მამი ჩემის
5. მოსახსენებლად ქქს ტნიე ივლის კა

ე. ი.

„ქ. მე, მონამან ღმრთისამან ნიკოლაოზ ქადაგმან მა|ლალაძემ, ვიწყე შე-
 ნებად მეორედ წმიდისა ამის|ტაძრის ყოვლადწმიდისა დიდებულისა დედის|
 ჩემის ელენეს შესანდობლად, მამი ჩემის|მოსახსენებლად. ქორონიკონს ტნიე
 (=350+15=365[+1312]=1677) ივლის[ის] 21“.

ამ წარწერაში, როგორც ბ. ვარლამ თოფურიაშვილს სამართლიანად
 აღნიშნა, საინტერესოა ფორმა „ნიკოლაოზ“, რომელიც ბერძნული Νικολαος-ისგან
 უნდა მომდინარეობდეს.

3. იქვე ქვევით (8 სტრიქონად)¹.

1. დამბადე
2. ბელო შეი
3. წყალე ნიკო
4. ლოზ მალა
5. ლაძეს დედა
6. ელენე და მა
7. მა პაპუა
8. ქქს ტნიზ

ე. ი.

„დამბადე|ბელო, შეი|წყალე ნიკო|ლოზ მალა|ლაძეს დედა|ელენე და მა|მა
 პაპუა|. ქორონიკონს ტნიზ (=350+17=367[+1312]=1679)“.

იოს. 3. ნიკოლოზ.

4. სულ ქვევით (2 სტრიქონად)².

1. ქ. მოიხსენე უფლო
2. ნიკლოზ მლლაძე.

ე. ი.

„ქ. მოიხსენე, უფალო, ნიკოლოზ მალალაძე“.

იოს. 1. მოიკსენე. 2. ნიკოლოზ.

ყველა ეს წარწერები პალეოგრაფიული მხრივაც არის საინტერესო, ვინა-
 იდან მათში ზოგიერთი ასოები ერთმანეთთან გადაბმულად გვხვდება, მაგალი-
 თად: „მო“, „კო“, „ლო“ და სხვა.

შევინთ ეკლესიაში არის რამოდენიმე საფრესკო წარწერა ბერძნულად, უმ-
 თავრესად კანკელზე, რომლებიც ძნელად იკითხება.

მაგალითად, შესავლის თავზე იკითხება (მთავრული ასოებით):

[MP] ΘV IC XC... ΙΕΡΕΜΙ[A]Σ (?)

კანკელის წარწერები ნუსხურია. მათ შორის ერთი ცნობილი სურათის გვერ-
 დითაა, რომელიც წარმოადგენს მავდერებელ და დაოქილ ქალს, და რომლის პი-

¹) შდრ. П. Иоселиани, Жизнь великого мученика etc., стр. 118.

²) Ibid.

რიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაშია დაცული სურათების № 533-ის ქვეშე¹

წარწერა ძნელად იკითხება და მისი ვარჩევა და შესაძლებლობისდა გვარად აღდგენა უკანასკნელისდა მიხედვით ტფილისში, ჩემი თხოვნით, იკისრა პროფ. გრ. წერეთელმა.

აი ეს წარწერა:

in extenso:

Ε μινσθητι χε̄ την
ψυχην̄ τῆσ̄ δουλῆσ̄ σου
ἐλέησασ. καῑ καταταξ̄
αυτην̄ ἐν̄ παραδειῶ
σω̄ οποῡ χορη̄ των̄
αγιων̄ λε̄ καῑ ἡ̄ δῆκαι
ἡ̄ εκλαψουσῆν̄ οσ̄
φοιστηρῶσ̄ την̄ ψ[υ]
χην̄ τη̄ δουλῆσ̄ σου
ἐλέησασ καῑ ἐπα
κουσῶσ̄ ἐμοῦ
τοῡ ἀμαρτωλοῦ
καῑ ἀναξῆου
δουλῆσ̄ σου
[ἀπο]στολοῦ [του]
ζαχαρᾶ[ου]

ე. ი.

„მოიკვნენ, ქრისტე, სული მონისა შენისა ელენესი და განაწეგ იგი სა-
მოთხესა შინა, სადა გუნდნი 35 (?) წმიდათა და მართალნი ბრწყინავენ, ვი-
თარცა მნათობნი,—სული მონისა შენისა ელენესი, და ისმინე ჩემი, ცოდვილი-
სა და უღირსისა, მონისა შენისა მხატვრისა აპოსტოლესი“.

როგორც ეტყობა, ამ წარწერაში მოხსენებულია ზემოთ მოყვანილი 1677
და 1679 წლის წარწერებში მოხსენებული ნიკოლოზ მალაღისი, „ქადაგის“, დე-
და. შაგრამ თვით საფრესკო წარწერა უფრო საინტერესოა მით, რომ შეიცავს
მხატვრის სახელს: Απίστολος ζαχαρᾶς, ე. ი. მხატვარი სახელით აპოსტოლო (თუ,
რასაკვირველია, სწორეა პროფ. გ. წერეთლის კონიექტურა).

ტაძრის მხატვრობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკმაოდ დაზიანებულია.
მიუხედავად ამისა, კანკელზე გარკვევით ირჩევა შემდეგო სურათები სათანადო
ასომთავრული ქართული წარწერებითურთ: ხარება, ნათლისღება, სამნი ყრმანი
(ცეცხლის საკმელში), დანიელ წინასწარმეტყველი, „იელუსალიმს შესულა“ და სხვა.

კოშკის ქვემო სართული, რომელიც მთლად დაფარულია მხატვრობით,
წარმოადგენს სამლოცველო-სასაფლაოს. ეს მხატვრობა დაწვრილებით შესწავ-
ლილი აქვს ბ. შალვა ამირანაშვილს.

¹) შდრ. И. Стеллецкий, Выставка грузинских фресок,—„Известия Кавказского музея“, т. XI, в. 1—2, Тфл. 1917, стр. 133.

ამიტომ მე აქ შევჩერდები მხოლოდ საფრესკო წარწერებზე.

1. ჰერში.

IC. XC. O ΠΑΝΤΟΚΡΑΤΩΡ


იესო ქრისტე, ყოვლისამპყრობელი.

2. კარების აღმოსავლეთით, ნიშის მარცხნივ.

ἄγιοις ἰς χριστιανισμῶν

წმიდა ი[ოანე] ოქრობირი.

3. აღმოსავლეთის ნიშში, სარკმლის ქვეშ.



ეს, როგორც ეტყობა, სიმბოლური წარწერაა, რომლის შინაარსიც, სამწუხაროდ, ვერ ირკვევა, გარდა წინა ნაწილისა, სადაც ნათქვამია: „იესო ქრისტე, ძლევა“. ის სამჯერ არის გამოცემული: ორჯელ მთლიანად აკად. მ. ბროსეს მიერ¹, ხოლო ერთხელ და უკანასკნელად მხოლოდ წინა ნაწილში ი. პოშიალოვსკის მიერ².

საინტერესოა, რომ ამ წარწერის მსგავსი ვარძიაშიც ყოფილა, და თავის ნაშრომში აკად. მ. ბროსეს შესაძარებლად ისიცა აქვს მოყვანილი. ექვს გარეშეა, ორივე ერთი და იმავე ხისიათისაა, თუმცა შინაარსში ცოტაოდენ განსხვავდებიან. ასეთივე ხისიათის სიმბოლური წარწერა გამოყვანილია რვა-წვერიანი ჯვრის გარშემო ტაბაკენში³.

4. ნიშის მარჯვნივ.

ἰ ἄγιοις Βασιλειῶν

წმიდა ბასილი.

5. ნიშის მარცხნივ.

ἰ [ἄ]γ[ιο]ς [Ν]ικη[λ]αι[ος]

¹) M. Brosset, „Bulletin de la classe des sciences historique, philologique et politique de l'Académie Impériale des sciences“, № 97, t. V, 1848, № 1;—Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, 2 livraison, p. 106.

²) И. Помяловский, Сборник греческих и латинских надписей Кавказа, СПб 1881, стр. 60.

³) იხ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სურათი № 605.

წმიდა ნიკოლოზი.

ნ. დასავლით, კარების მარჯვნივ.

[x]azepivz

ეკატერინა.

მაშასადამე, აქ წარდგენილია შემდეგი წმიდათა გუნდი: იოანე ოქროპირი, ბასილ დიდი, ნიკოლოზ (საკვირველმოქმედი) და ეკატერინე.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს აღმაშენებელთა რიგი, რომელიც ორ ჯგუფად არის დაყოფილი; მათ ქვევით წარწერები ასე იკითხება:

1. (კარგად ირჩევა): ადამ, ზურაბ, მამუკა, პაატა, რევაზ, ნიკოლოზ.

2. (ოდნავად ირჩევა): პაპუა სალთხუცესი, ელენე, ხორეშანა, გიორგი.

ორივე ჯგუფის ზევიდან წარმოდგენილია ღვთისმშობელი.

ეს სურათი ოდესღაც უფრო კარგად ირჩეოდა და გამოცემულიც არის გ. გაგარინის ალბომში¹, ხოლო იხსენიებენ პ. იოსელიანი² და აკად. მ. ბროსე³. ამისი პირი მოიპოვება აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სურათების კოლექციაში № 532-ის ქვეშ⁴.

აღმაშენებელთა ეს სურათი, როგორც პ. იოსელიანიმაც აღნიშნა⁵, საინტერესოა არა მარტო საზნატურო, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, ვინაიდან შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლიან აღვადგინოთ იმ დროინდელი, ე. ი. მე-XVII-ე საუკუნის, ჩვეულებანი ტანსაცმელების მხრით. მათში, სხვათა შორის, საუცხოვოა ნიკოლოზი, რომელიც წარდგენილია საეკლესიო შესამოსელში, სტიქარით, ეპიტრახნილით, ფელონით, ენქერით და მიტრითა. იმის გამო, რომ მას ფელონი აცვია და არა სამღვდელთავერო ბისონი, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არქიმანდრიტის, სახელდობრ ნიკოლოზ მაღალაძის, მცხეთის საყდრის „ქადაგის“, სურათი უნდა იყოს. გარდა ამისა, საინტერესოა ქოშები, რომლებიც მხოლოდ მას აცვია, და ეს, უთუოდ, იმას გვიბტკიცებს, რომ ძველად სამღვდელო პირთ ღვთისმსახურების დროს ქოშები ეცოთ ხოლმე და არა ფეხსაცმელები, ე. ი. სწორედ ისე, როგორც აქამომდე შერჩენილია სომეხთა ეკლესიის პრაქტიკაში, მით უმეტეს, რომ ასეთი ქოშების (საკათალიკოსოსი?) მაგალითები ჩვენ მუზეუმებშიც მოგვეპოება.

მონასტრის შესავალ კარების თავზე ორი წარწერაა, ერთი ასომთავრული, რომელიც უცნობია ლიტერატურაში, ხოლო მეორე, მის ქვევით, მხედრული, რომელიც გამოცემულია პ. იოსელიანის მიერ⁶.

პირველი წარწერა, რომელიც ჯვრის გარშემოა, იკითხება ასე (მთავრულად):

გ. ი.

ი	ვ	ქ	ე
რ	ი	?	

¹) G. Gagarine, Le Caucase pittoresque. Paris 1847, pl. XLV.

²) П. Иоселиани, Жизнь великого моурава etc., 119—120.

³) M. Brosset, op. cit., 3 livraison, p. 37.

⁴) შდრ. И. Стеллецкий, и. с., стр. 133.

⁵) П. Иоселиани, Жизнь великого моурава etc., стр. 120.

⁶) Ibid., 121. შდრ. M. Brosset, op. cit., 3 livr., p. 37.

„ისოვ ქრისტე, რომელი...“

მეორე იკითხება ასე (7 სტრიქონად):

1. ქ სასოო შესავედრებელი და შემწეო ჩემო ზ ყდ წო დედუ
 2. ალო ლ თისმშობლო ცათა უვრცელესო დედაო ნათლისაო რომელმან
 3. ღირს მყავ შეგონებად მსახურებისა ტაძრისა შენისა ეჰა შენ
 4. საშინელო და შესაძრწუნებლო ტაძარო ლთისა დიდებისაო
 5. მე ფდ ცოდვათა ჩემთა მიერ საარებულთ ხ შეწვენისა მო
 6. ქენე მაღალაძე მდივან მწიგნობარ მგალობელ სოლომონ
 7. გიმკობ და აღვაშენებ სამრეკლოსა ამას ქქს უდ.
- ქორონიკონი უდრის 404[+1312]=1716 წელს.

იოს. 1 შეწყწარებელი. 1—2 ჩემო... ღმრთისმშობელი] წმინდაო ღუთისმშობელი: 3. ღირსმყავ. 5 ღუთისა; ცოდუთა. 6. მხოლოდ; მწიგნობარი. 6—7. მგალობელი.

თავისი შინაარსით (მეტადრე დასაწყისში) ეს წარწერა ძალიან მოგვეგონებს არმაზის მონასტრის ეგუტერის წარწერას მე-XVII-ე საუკუნისას. მონასტრის გარეთ, 1/4 ვერსის მანძილზე, მაღლობზე, მდებარეობს საკმაოდ დიდი და მაღალი კოშკი წმ. გიორგის ქანდაკებით და ასომთავრული წარწერით, რომელიც, სამწუხაროდ, არ ირჩევა.

ამნიარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბეთლემის მონასტერი მაღალანთ საგვარეულო ეკლესიად და სისაფლაოდ ყოფილა და მათ მიერ არის აღშენებული ანუ. უკეთ რომ ვთქვათ, განახლებული. და მართლაც, ჩვენ მიერ მოყვანილი 1677 წლის წარწერაში პირდაპირ ნათქვამია, რომ „ნიკოლოზ ქადაგმან მაღალაძემ“ იწყო „შენებად მეორედ“ წმიდისა ტაძრისა „ყოვლადწმიდისა დიდებულისა“ მისი დედის ელენეს შესანდობლად და მამის მოსახსენებლად.

წარწერებში მოხსენებულნი პირნი თითქოს ცნობილნი არიან ისტორიიდან. მაგალითად, ცნობილია ნიკოლოზ ქადაგი მაღალაძე, რომელიც ცხოვრობდა მე XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში. გარდა ამისა, ცნობილნი არიან სხვა ნიკოლოზებიც: ერთი იმავე საუკუნის დასაწყისში (1618 წლის ახლოს), რომელიც ერთ დროს მცხეთის ტაძრის წინამძღვრად იყო, ხოლო შემდეგში კათალიკოზად¹, და იხსენიება კავთის წმ. გიორგის განთქმულ ვერცხლის ხატის წარწერაში; მეორე კი ჩანს მე-XVIII-ე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავის ერთ ხელნაწერ კრებულის მინაწერში 1744 წლის ქვეშე²; კარგად ცნობილია აგრეთვე სოლომონ მდივანიც, რომელიც იყო მამა უკანასკნელად ჩემ მიერ დასახელებული ნიკოლოზისა³.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როდის არის თავდაპირველად დაარსებული ბეთლემის მონასტერი, ამის თქმა ჯერ-ჯერობით ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ეს მონასტერი მოხსენებულია მცხეთის საყდრის მამულების მე-XIV—XVI-ე საუკუნეების სიაში, ცხად ჰყოფს, რომ ის მე-XVII-ე საუკუნეში ნიკოლოზ მაღალაძის მიერ მხოლოდ განახლებულია ანუ მეორედ აშენებული.

1) შდრ. П. Иоселиани, Жизнь великого моурава etc., стр. 156—157.

2) М. Джанашвили, Описание рукописей, III, Тфл. 1908, стр. 158.

3) შდრ. ibid.

მაგრამ რატომ არის ზოგიერთ საბუთებში ეს მონასტერი „ქადაგის“ ანუ „საქადაგო“ მონასტრად მოხსენებული, ამაზე გადაჭრით არაფერი ითქმის, გარდა მხოლოდ ერთად ერთის მოსაზრებისა, რომელიც ფეოდალურ წესწყობილებიდან უნდა მომდინარეობდეს. საქმე შემდეგშია. როგორც მომხიდა გამომეკვია, მცხეთის საყდრის ქადაგთა შორის რამოდენიმე პირია ცნობილი მალალაძეების გვარიდან, მოყოლებული ჯერ კიდევ მე-XV-ე საუკუნიდან. თ. ჟორდანიას მოყვანილი აქვს ერთი გუჯარი 1442 წლისა, რომელიც დაწერილია „კელითა მალალაძის მცხეთის ქადაგის მახარებელისათა“¹. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბეთლემის მონასტერი მისი მამულითურთ თავდაპირველად მცხეთის ქადაგთა ფეოდი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგში, როდესაც ეს წოდება მალალაძეების გვარის წევრებს ჰქონდათ მიკუთვნებული, მათ ებოძათ და ამნაირად მათი კერძო საკუთრება გახდა, ხოლო თვითონ მუდმივი მემკვიდრენი ვახდენ. ასეთი მოსაზრების ქეშმარიტებას, რასაკვირველია, გააძლიერებს უფრო ის, თუ რომ საბოლოოდ დამტკიცდა, რომ წინარების ღვთისმშობელი ტფილელ მღვდელმთავართა მეტოქე იყო ოდესლაც, ვინაიდან შემთხვევითად არ უნდა მომხდარიყო ტფილელ მღვდელმთავართა და მცხეთის ქადაგთა ფეოლების გაჩენა ერთი შერის გვერდით ერთსა და იმავე ხეობაში, ს. წინარებისა და მის მიდამოებში.

ბეთლემის ანუ ქადაგის|საქადაგო მონასტრის ანუ „მალალაანთ ეკლესიის“ აღშენების შესახებ ადგილობრივ არსებობს ვრცელი იტყულება, რომელიც რამოდენიმეჯერ გამოიცა რუსულ ენაზე². აი ეს იტყულება.

თრიალეთის მთებიდან, რომელნიც ახლოს არიან კავთურის ხეობასთან, მილი იყო გამოყვანილი მალალაანთ ეკლესიის გალავანში, სადაც ქართველები თავშესაფარს ჰპოულობდენ მტრისაგან. მწყემსები, რომლებსაც საქონელი ჰყვანდათ ამ მთებზე, მილით რძეს უგზავნიდენ გარემოცულ ქართველებს. ამბობენ, რომ ეკლესიის ქვეშ, მიწაში შენახული იყო საგანძური. გლეხები არაერთხელ სცდილობდენ შემძვრალიყვნენ იქ; მაგრამ ვინაიდან გასავალი ძალიან გრძელი იყო და სანთელი ჰაერის უქონლობის გამო მალე ქრებოდა, აპიტომ არავის შეეძლო მისულიყო იმ ადგილამდე, სადაც საგანძური იყო ჩაფლული. როგორც კი სანთელი ქრებოდა, ყველა გამობრბოდა ყვირილით, ვინაიდან ეგონა რომ ბოროტმა სულმა ჩააქრო სანთელი. მაგრამ ერთხელ აღმოჩნდა ისეთი მამაცი კაცი, რომელმაც შესძლო ჩასულიყო ქვევით, და იქ იზოვა ერთა კოკა, რომელიც მთლად სავსე იყო ვერცხლისა და ოქროს ნივთებით და იშვიათი ფულებით. ამ ნივთითა და ფულით მან იყიდა ხუთი-ექვსი წყვილი ხარკამეჩი, გაიჩინა გუთანნი, იქირავა მუშები და ამნაირად გამდიდრდა. მაგრამ, მისი სიხარული ხანგრძლივი არ იყო, ვინაიდან იმის შემდგომ მისი ცოლი დამშვიდებით ველარ იძინებდა: ხშირად ხდებოდა, რომ, როგორც კი ჩასთვლემდა, წამოდგებოდა და დიწყებდა ყვირილს: პირველ ხანებში ამას ყურადღებას არ აქცევდენ, მაგრამ იმის შემდეგ,

¹) თ. ჟორდანიას, op. cit. II, 253.

²) Георгий Канделаки, О кладе под церковью Магаловых (Рассказ старика),—„Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, в. XXIV (1898), отд. II, стр. 89—91; ср. Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России, Тфл. 1901, стр. 41—42; сборник „Весь Кавказ“ № 1, Тфл. 1903, этногр. отд., стр. 109, и др.

როდესაც თვით იმ კაცსაც მოელანდა, ვითომდა ვილაცამ უბრძანა დაებრუნებია ის ნივთები და ფული, თუ არა და დევის მიერ დახრჩობილი იქნებოდა, მიჰმართა ნაირნაირ მკითხავსა და მოლას, რომლებმაც ვერაფერი უშველეს. მაშინ ამ კაცმა აიღო დანარჩენი ნივთი და ფული და მით ააშენა აწინდელი ეკლესია წმ. იოანე წინამორბედის სახელზეო.

თუ რა კავშირი აქვსთ ს. ახალქალაქ-ჩოჩეთთან მცხოვრებლებ მალალა-შვილებს კავთურის ხეობაში ოდესლაც ცნობილ მალალაძეებთან, ამაზე გადაჭრით არაფერი ითქმის. ამ საკითხით თავის დროს დაინტერესებული იყო პ. იოსელიანიც, მაგრამ არ იცოდა როგორ გადაეწყვიტა: „Не могу сказать утвердительно, существующий до-ныне род князей Магаловых (მალალაშვილი) есть ли потомки рода Магаладзе?“¹ — ამბობდა ის 1848 წელს.

სამაგიეროდ, თვით მალალაშვილების აგან, კერძოდ აწ განსვენებულ გრიგოლ მალალაშვილის აგან, არა ერთხელ მომისმენია ახსნა-განმარტება იმ მოვლენისა, თუ რატომ აღარ ცხოვრობდნენ მალალაძეები წინარების რაიონში და, რომ ამ მალალაძეებს კავშირი აქვთ მალალაშვილებთან, რატომ გადასახლდნენ კავთურის ხეობიდან ს. ახალქალაქის რაიონში. ერთხელ, მიამბობდა ექიმ გრიგოლ მალალაშვილი, ე. წ. „მალალანთ ეკლესიის“ ახლოს მიწიდან გამოცოცდა გველი და მალალანთ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაახრჩოვო; ამის გამო მათ შეეშინდათ და იძულებულნი იყვნენ გადასახლებულიყვნენ სხვაგან.

რაკი ასე ვრცლად ზომიხდა ლაბარაკი „მალალანთ ეკლესიაზე“, ვსარგებლობ შენთხვევით და არ შემიძლიან არ გაეჭირდე ერთ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია კავთურის ხეობის სიძველეთა აღწერასთან.

დ. ბაქრაძე ლიტერატურული წყაროებისა და მიხედვით შედგენილ თავის ნაშრომში „Кавказ в древних памятниках христианства“, რომელიც დაიბეჭდა 1875 წელს, აგრეთვე ეხება ჩემ მიერ განხილულ ზოგიერთ ნაშთებს, ორი სათაურის ქვეშე: ერთისა — Лавра (გვ. 86—87), მეორისა — Тцинарехская церковь (გვ. 149), მაგრამ ყველა მასალა ისე აქვს არეულ-დარეული, რომ როდესაც ცნობით მას, პირდაპირ გიკვირთ თუ როგორ მოუვიდა ასეთი არა სასიამოვნო შეცდომა განსვენებულ მოღვაწეს. მაგალითად, ყველა ის მასალა, რომელიც ნამდვილად „მალალანთ ეკლესიას“ ეხება, დ. ბაქრაძეს მიუწერია ლავრისთვის და მოუთავსებია ლავრა სათაურის ქვეშე; გარდა ამისა, ერთი ცნობა „მალალანთ ეკლესიის“ შესახებ მას მოუთავსებია ამ სათაურის ქვეშე: Тцинарехская церковь; იგი სახელდობრ ამბობს: „Тцинарехская церковь расположена на большом холме, внутри каменной ограды с развалинами круглой башни“, როდესაც წინარების ლეთისმშობლის ეკლესიის მდებარეობა სრულებითაც ასეთი არ არის, და ასეთი აღწერა უფრო უდგება „მალალანთ ეკლესიას“.

ძ ვ ა თ ა ხ ე ვ ი .

ქვათახევის მონასტერი მდებარეობს „მალალანთ ეკლესიიდან“ დაახლოებით 5 ვერსის მანძილზე. მას თითქოს წარწერები არა აქვს.

¹) П. Иоселиани, Жизнь великого моурава etc., стр. 117, прим. 2.

დასავლეთის კარებზე კარიბჭეში იკითხება ახალი დროის ასომთავრული წარწერა 1 სტრიქონად—ციტატა სახარებიდან:

„აზა აზს სსაჲ ესე, გარსა სსაღი ღთისა და ესე ბჭე ზეცისა“.

მონასტრის სიძველეთ-საცავში მოიპოვებოდა 2 ფრაგმენტი ერთი და იმავე წარწერისა ქვაზე, რომელიც ჩვენ მიერ გადმოტანილ იქმნა უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავში.

წარწერა იკითხება ასე (მთავრული ასოებით):

ს...შეფის ვ[ღ]...

კ[ა]: ს^რმრეკლასა:

ამას მ^რთს

ექვს გარეშეა, რომ ეს ყოფილი სამრეკლოს წარწერა უნდა იყოს.

პ. იოსელიანს მოჰყავს ერთი წარწერა მარმარილოს ქვაზე ეკლესიაში 1695 წლისა, რომელიც, მისი აზრით, ხორეშან დედოფლის საფლავისა უნდა იყოს¹.

ამ საქმოდ ვრცელი წარწერიდან ამ ქამად გარკვეულად ირჩევა მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა (მთავრულად):

ისიღათ: შ[ღ]

ვაჟაჲ: ღა: აქ: მიწა:

ვაქ

გარდა ამისა, ქვათახევის მიძინების ტაძარში ჩვენ იქ ყოფნის დროს ინახებოდა ორი ცნობილი ხატი: ერთი წმ. გიორგისა, მეორე ღვთისმშობლისა, ორივე ვერცხლისა, ძველი წარწერებით.

პირველის წარწერა (მთავრულად):

„წ^რ ღ გიორ[გი].+წ^რმადაჲ გ^რი კავთასჲ. შკაწყაღე ნაკიღათოზ მადაღაქ. ამინ. ქესა ტდ(=304[+1312]=1616)“².

კავთის წმიდა გიორგი დიდმნიშვნელოვან ხატად ითვლება და მდებარეობს მალღობზე ქვათახევისა და დიდგორის მთებს შუა. ეს წმ. გიორგი, როგორც ირკვევა, განთქმული ყოფილა დიდგორის ქედის იქითაც, ე. ი. მანგლისის მხარეს, ვინაიდან იხსენიება ჩემ მიერ აღმოჩენილ რუსულდანის ძეგლის-წერაში (ქვაზე), რომელიც ამ ქამად ს. არხოტშია დაცული ერთის ოსის გლენის ეზოში. წარწერა იკითხება ასე: „წ^რ ღ გ^რი კვთსი.+ესე ბრძანებაი ჩემი არს. რუსულდან ნებითა ღთსაითა...“ და სხვა³.

ღვთისმშობლის ხატის წარწერა, რომელიც თითქმის შეუსტომლად არის მოყვანილი პ. იოსელიანის მიერ⁴, იხსენიებს გიორგი (XI?) მეფის მეუღლესა და მიქელაძიანთ ქალს ხორეშანს, 1695 წლის ქვეშე, რომელსაც ეს ხატი

¹) Ibid., стр. 127.

²) Ibid. стр. 131.

³) ლეონ მედიქსეთ-ბეგო, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით.—„ახალ სკოლისკენ“ № 2-3 (1924). გვ. 76-77.

⁴) Ibid., стр. 136.



შეუწირავს ქვათახევისთვის. თვით ხორეშანი, პ. იოსელიანის აზრით, დასაფლავებული უნდა იყოს კანკელის მარცხნივ, ხატის წინ.

*
**

ქვათახევის მონასტერი იმდენად არის დაკავშირებული განსვენებული ტარასი არქიმანდრიტის პიროვნებასთან, რომ შეუძლებელია ლაპარაკი პირველზე, თუ ჩვენ ასე თუ ისე არ მოვიხსენიებთ მეორეც, რომელიც განისვენებს ჩრდილოეთის კედელთან, ხორეშან დედოფლის საფლავად მიჩნეულის სამარის მარცხნივ.

ტარასი არქიმანდრიტი, გვარად მესხიშვილი, მე-XIX-ე საუკუნის პირველი ნახევრისა და შუა ხანების მოღვაწეა, ცნობილ აკადემიკოს მ. ბროსის და პ. იოსელიანის ერთ-ერთ კორესპონდენტთაგანი. ის ცნობილია, როგორც განმანათლებელი ქვათახევის მონასტრისა, დამაარსებელი მისი ცნობილი სამონასტრო სკოლისა, რომელმაც აღზარდა მთელი თაობანი მოღვაწეებისა, მეტადრე კი როგორც მთარგმნელი სლაფურიდან ან რუსულიდან ქართულად მრავალის საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნისა.

ვინაიდან ამ ფრიად საინტერესო პიროვნების ბიოგრაფია და მოღვაწეობის დახასიათება ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს, ამიტომ მოვიწადინე ასეთი საქმის განხორციელება სხვისი ვისიმე საშუალებით. ოდესღაც სწორედ ამ ფიქრებით ვიყავ ვართული და ამ დროს ბ. მაქსიმე ბერძნიშვილმა მიცნობა, რომ მას ტარასის შესახებ რამოდენიმე ცნობა აქვს შეგროვილი. მაშინ ვურჩიე მას ეკისრა ასეთი შრომის განხორციელება, ყოველნაირი დახმარებით ჩემ მხრივ. სანამ ასეთი შრომა დაიწერებოდა ანუ დაიბეჭდებოდა, მე სასარგებლოდ მიმაჩნია გამოაქვეყნო ჩემს ხელთ არსებული მასალები ტარასის სალიტერატურო მოღვაწეობის განსაზღვრისა და დახასიათებისათვის. ეს მასალები ამოღებული მაქვს ქვათახევის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერიდან, რომელიც თვით ტარასის ხელს ეკუთვნის და რომელიც, სხვა ხელნაწერებთან ერთად, ჩვენ მიერ გადმოტანილ იქმნა უნივერსიტეტის სიძველეთ საცავში.

ტარასი არქიმანდრიტის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი წიგნების სია მოთავსებულია ერთი ხელნაწერის დასაწყისში, რომელსაც სათაურად აქვს შემდეგი: „წმიდათა შორის მამისა ჩუჭნისა ეფრემ ასოჯრისა წერილნი სულიერყოფა-ქცევანი. წელსა 1858. ქვათახევის მონასტერსა შა. ითარგმნა რუსულისაგან წინამძღვრის ტარასისაგან“.

აი სწორედ აქ ტარასი სწერს:

„ჩემგან ხათარგმნი წიგნები რუსულისაგან.“

1. ქ. შემოკლებული კატეხისმო ზნეობითის სწავლით, და სამდუდელო ისტორიით.

2. ქ. დედრანაიუდა დეკსიკონი ახლის ადთქისა ნეტეზურდს თარგმნილი და დაბეჭდილი 1824 წელს.

3. ქ. ვრცელი კატეხისმო სასწავლებელად ერმთა, მოსკოვს თარგმნილი და დაბეჭდილი 1827 წელს.

4. ქ. სიტყვა მდუღელობისთვის, წმინდას იოანე ოქროპირის, მასკოვს დაბეჭდილი 1845 წელს.

5. ქ. წიგნი თანამდებობისათვის სამრევლოთა მდუღელთას, მასკოვს დაბეჭდილი 1861 წელს.

6. კანონი წმინდას გენადისა, ზეტერბურდს დაბეჭდილი 1847 წელს. (შავად ნათარგმნი)

7. ქ. იოანე ოქროპირის ქდაგება ანტიოხიის ერთადმი.

8. ქ. ცხოვრება წმინდას და მართ[ლ]ის იოსებ შტრნაიერის.

9. ქ. ცხოვრება წმინდას და დირსისა ფილარეტ მოწაფისა.

10. ქ. ცხოვრება დირსისა დედისა ჩვენისა ანდრეასისა ქალწულისა.

11. ქ. ცხოვრება დირსთა მამათა ვარლამისა და იოსაფ ინდოელთა.

12. ქ. თვით ეს წიგნი სწავლანი ეურემ ასურისა და დიდისა ვასილისნი.

13. ქ. ქრისტესე კეთილგონიერად მსჯელი შეუწაცხებისთვის სოფლის ამაოებისათვის“.

ეფრემ ასურის წერილი ტარასის უნდა გადაეწერა არა უადრეს 1861 წლისა, ხოლო ამ დრომდე, თანახმად ამ სიისა, მას გადმოუთარგმნია სულ 13 თხზულება, რომელთაგანაც 5 დაბეჭდილა კიდევ მოსკოვს 1827, 1845 და 1861 წლებში, და პეტერბურღში 1824 და 1847 წლებში.

72564 ✓